საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მუნჯიშვილი გივი გრიგოლის ძე

მუნჯიშვილი გივი გრიგოლის ძე (დ. 30. IX. 1937, თელავი), ქორმაისტერი, პედაგოგი, კომპოზიტორი, საზოგადო მოღვაწე. 1957 დაამთავრა თბილ. სამუსიკო სკოლა – „ნიჭიერთა ათწლედი“ საგუნდო-სადირიჟორო განხრით (პედ. გ. ხახანაშვილი), 1962 – თბილ. სახელწ. კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკ-ტი (პედ. ვ. ფალიაშვილი). 1963–2014 იყო თბილ. სახელმწ. კონსერვატორიის პედაგოგი (გუნდის დირიჟორობა), პროფესორი (1982), ემერიტუსი (2013), კონსულტანტი (2014-იდან); 1970–75 – თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის მთ. ქორმაისტერი და დირიჟორი; 1975–2010 – საქართვ. სახელმწ. კაპელის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთ. დირიჟორი (2010-იდან კონსულტანტი). 1986–88 მუშაობდა ქ. ულან-ბატორის (მონღ.) საოპერო თეატრში კონსულტანტად, მთ. ქორმაისტერად და დირიჟორად. 1966 საქართველოში დააარსა ბავშვთა პირველი აკად. გუნდი, 2000 – ახალგაზრდული კამერული გუნდი. **მ**-მა მიაკვლია ჩეხი მუსიკოსის, ი. რატილის საფლავს (მისი ინიციატივით გადასვენებულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში). **მ**. მართავს და უძღვება საგანმან. საღამო-კონცერტებს. მისი რეპერტუარი მოიცავს ქართ. და ევროპელი კომპოზიტორების ოპერებს, გუნდებს, კანტატებს, ორატორიებს, ვოკალურ-ინსტრუმენტულ ნაწარმოებებს. **მ**-ის დირიჟორობით არის გაფორმებული მუს. ფილმი „არსენას ლექსი“. მისთვის დამახასიათებელია დახვეწილი, ზუსტი, სახიერი სადირიჟორო ტექნიკა, ნაწარმოებში ღრმად წვდომის უნარი, ინტონაციური სიზუსტე, არტისტიზმი. **მ**-ს სახელს უკავშირდება ქართვ. და უცხოელ კომპოზიტორთა ნაწარმოებების პირველი შესრულება საქართველოში. დიდი წვლილი შეიტანა ქართ. საგუნდო მუსიკის პოპულარიზაციისა და ქორმაისტერების აღზრდის საქმეში.

მ-ს მიღებული აქვს საპატიო ნიშნის (1982) და ღირსების (1997) ორდენები, თბილ. საერთაშ. ფესტივალის სიგელი (2017; „საგუნდო მუსიკაში შეტანილი წვლილისათვის“);

ხელოვნების ქურუმის წოდება (2017). **მ**-ის ვარსკვლავი გაიხსნა თელავის სახელმწ. დრამ. თეატრის წინ (2022).

ლიტ.: გივი მუნჯიშვილი, შტრიხები პორტრეტისათვის, თბ., 2009; მოისწრაფი შვილი ნ., გ. მუნჯიშვილი – 70, „მუსიკა“, 2007; პროფესიაში გამორჩეულნი, ტ. 2, თბ., 2012.

მ. ჯაფარიძე